ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26
2017 წლის 28 ივნისი

დაბა ადიგენი

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 იანვრის №3 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 06/01/2017, 010250050.35.137.016260) .

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია 2017 წლის პირველი ივლისიდან.

ადიგენის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ლობჯანიძე**

დანართი

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები.

№	**რანგირება**	**თანამდებობის დასახელება**	**რიცხოვნობა**	**თანამდებობრივი სარგო**
1		**საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები**	**13**	
		საკრებულოს თავმჯდომარე	1	2650
		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	1700
		იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	1310
		საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	1310
		ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	1310
		გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	1310
		კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის	1	1310

		თავმჯდომარე		
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	6	1310
2		**საკრებულოს აპარატი**	**7**	
	I რანგი	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	1	1000
	II რანგი	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	800
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	560
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	540